ტექნიკური დავალება

გამოყენებული მასალების მახასიათებლები

მერხისა და სკამის შემადგენელი ნაწილები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

პუნქტი I

1. თითოეული კომპლექტის შემადგენლობაში შედის 1 (ერთი) ცალი სასკოლო მერხი და 1 (ერთი) ცალი სასკოლო სკამი, რომელიც გათვლილია 1 (ერთი) მოსწავლეზე.

2. სასკოლო მერხი და სკამი უნდა იყოს ცალ-ცალკე ნაკეთობა.

3. **მერხის** ზედაპირი უნდა იყოს ვერზალიტის (Werzalit) ან მსგავსი ტექნოლოგიით დამზადებული, რომლის:

   3.1. ზოგადი სიმკვრივე უნდა შეადგენდეს 700-1100 კგ/მ^3 (გამოცდის მეთოდი - EN 323);

   3.2. სიმტკიცე ღუნვაზე უნდა შეადგენდეს 30-50 ნ/მმ^2 (გამოცდის მეთოდი - EN 310);

   3.3. წყლის ზემოქმედების სხვადასხვა პირობებში ამობურცვის სისქე პროცენტულად უნდა აკმაყოფილებდეს (გამოცდის მეთოდი - EN 317):

   ა) 20°C ტემპერატურის მქონე წყალში 2 საათით მოთავსების შემდეგ, ზედაპირის ამობურცვის მახასიათებელი არ უნდა იყოს 1%-ზე მეტი;
   ბ) 70°C ტემპერატურის მქონე წყალში, 5 საათით მოთავსების შემდეგ ზედაპირის ამობურცვის მახასიათებელი არ უნდა იყოს 9,0%-ზე მეტი;

4. **სკამის** დასაჯდომი და საზურგე უნდა იყოს ვერზალიტის (Werzalit) ან მსგავსი ტექნოლოგიით დამზადებული, რომლის:

   4.1. ზოგადი სიმკვრივე უნდა შეადგენდეს 700-1100 კგ/მ^3 (გამოცდის მეთოდი - EN 323);

   4.2. წყლის ზემოქმედების სხვადასხვა პირობებში ამობურცვის სისქე პროცენტულად უნდა აკმაყოფილებდეს (გამოცდის მეთოდი - EN 317):

   ა) 20°C ტემპერატურის მქონე წყალში 2 საათით მოთავსების შემდეგ, ზედაპირის ამობურცვის მახასიათებელი არ უნდა იყოს 1%-ზე მეტი;
   ბ) 70°C ტემპერატურის მქონე წყალში, 5 საათით მოთავსების შემდეგ ზედაპირის ამობურცვის მახასიათებელი არ უნდა იყოს 9,0%-ზე მეტი;

5. მერხის ზედაპირი, სკამის დასაჯდომი და საზურგე დამზადებული უნდა იყოს ერთი და იმავე მასალით და უნდა იყოს ერთი და იმავე ხარისხის.

6. ყველა მერხის ზედაპირი, სკამის დასაჯდომი და საზურგე დამზადებული უნდა იყოს ერთი და იმავე მწარმოებლის მიერ.

7. მერხის ზედაპირი, სკამის დასაჯდომი და საზურგე უნდა იყოს გლუვი და არ უნდა ჩანდეს სამაგრი დეტალები.

8. **სკამის საზურგე და სკამის დასაჯდომი** (ვერზალიტის ან მსგავსი ტექნოლოგიით დამზადებული ნაწილი, რომელზეც ჯდება და ზურგით ეყრდნობა მოსწავლე) უნდა ფარავდეს მეტალის კონსტრუქციის იმ ნაწილს, რომელზეც ის მაგრდება.

9. მერხის ზედაპირის, სკამის დასაჯდომისა და საზურგის ფერი - ღია ხის ფერი.

10. **მერხისა და სკამის კარკასი** (რკინის შენადნობი/მეტალის კონსტრუქცია, რომელზეც დამაგრებულია მერხისა და სკამის ზედაპირები):

10.1. დამზადებული უნდა იყოს რკინის შენადნობით (შემდგომში - მეტალი);
10.2. არ უნდა იყოს დამზადებული ე.წ. ფხვნილოვანი მეტალისგან;
10.3. თავად რკინის შენადნობი არ უნდა იყოს რეგულირებადი, თუმცა მერხის ან სკამის თითოეულ ფეხს შეიძლება ჰქონდეს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად რეგულირებადი დამატებითი დეტალები, იმისათვის, რომ იატაკის არასწორი საფარის დასაბალანსებლად, თავიდან იქნეს აცილებული მერხის ან სკამის რყევა;
10.4. მერხისა და სკამის კონსტრუქცია უნდა იყოს მეტალის, მილისებური ან მართკუთხა/კვადრატული პროფილის, რომლის:
მეტალის კედლის სისქე უნდა იყოს არანაკლებ 1,5 მმ; მილის დიამეტრი ან მართკუთხა/კვადრატული პროფილის დიაგონალი - არანაკლებ 19 მმ (კედლების სისქის ჩათვლით), რითაც უზრუნველყოფილი იქნება მერხისა და სკამის სათანადო სიმტკიცე და მდგრადობა;

შენიშვნა N1:

მეტალი, რომლისგანაც დამზადებულია მოსწავლის ჩანთის ან წიგნების შესანახი სათავსო შესაძლებელია არ იყოს მილისებური ან მართკუთხა/კვადრატული პროფილის.

შენიშვნა N2:

მერხისა და სკამის მეტალის კონსტრუქციებზე ზედაპირების დამაგრებისათვის (სადაც განთავსებულია სამაგრები/ჭანჭიკები), ასევე სიმყარისათვის, შესაძლოა დამატებით გამოყენებული იქნეს მეტალის დეტალ(ებ)ი, რომელიც არ არის მილისებური ან მართკუთხა/კვადრატული პროფილის.

შენიშვნა N3:

მერხისა და სკამის ფეხების ერთმანეთთან დასაკავშირებლად, სიმყარისათვის შესაძლოა გამოყენებულ იქნას დამატებითი დეტალ(ებ)ი (მეტალის), რომელიც შესაძლოა არ იყოს მილისებური ან მართკუთხა/კვადრატული პროფილის.

10.5. მერხისა და სკამის კონსტრუქციის ნაწილები ერთმანეთთან შედუღებული უნდა იყოს CEN/TR 15235-2005 სტანდარტის მიხედვით ან რკალისებრი მეთოდით;

შენიშვნა N1:

მერხისა და სკამის ფეხების ერთმანეთთან დასაკავშირებლად, სიმყარისათვის გამოყენებული დამატებითი დეტალ(ებ)ი, ე.წ. დამაკავშირებელი „ხიდი“ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შესაძლოა არ იყოს შედუღებული. ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს ჩამკეტიანი/საჭერი ქანჩი/წინააღმდეგობრივი ქანჩი (ე.წ. „კონტრ-გაიკა“), რათა თავიდან იქნეს აცილებული მისი იოლად მოხსნა/მოშვება.

10.6. მერხისა და სკამის კარკასის ყველა მეტალის ნაწილი შეღებილი უნდა იყოს ელექტროსტატიკური (ფხვნილოვანი) დაფარვის მეთოდით და შეღებილი უნდა იყოს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო საღებავით;

11. მერხისა და სკამის ფეხს უნდა ჰქონდეს სპეციალური სამაგრი, რაც დაიცავს იატაკს დაზიანებისაგან;

12. მერხს უნდა ჰქონდეს მოსწავლის სათავსო (ჩანთის ან წიგნების შესანახი) მერხის ზედაპირის ქვეშ, რომელიც ხელს არ უნდა უშლიდეს მერხის ნორმალურ ექსპლუატაციას. ასევე მეტალის კაუჭი ჩანთის ჩამოსაკიდებლად (გვერდითა მხარეს).

13. უსაფრთხოების მიზნით, მერხსა და სკამს, ასევე მის თანმხლებ დეტალებს არ უნდა ჰქონდეს მახვილი კუთხეები და ბოლოები.

14. მერხისა და სკამის ყველა დეტალი დამზადებული უნდა იყოს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო მასალისაგან.

პუნქტი II

მერხისა და სკამის ზომები

დეტალები	მეოთხე საფეხური	მესამე საფეხური	მეორე საფეხური
მერხის სიმაღლე:	76სმ (±2სმ)	70სმ (±2სმ)	64 სმ (±2სმ)
სკამის სიმაღლე:	46 სმ (±2სმ)	42 სმ (±2სმ)	38 სმ (±2სმ)
სკამის (დასაჯდომი) ზედაპირის სიგანე:	35 სმ (±2სმ)	35 სმ (±2სმ)	35 სმ (±2სმ)
სკამის (დასაჯდომი) ზედაპირის სიგრძე:	40 სმ (±2სმ)	40 სმ (±2სმ)	40 სმ (±2სმ)
სკამის საზურგის სიგრძე:	15 სმ (±1სმ)	15 სმ (±1სმ)	15 სმ (±1სმ)
სკამის საზურგის სიგანე:	35-40 სმ	35-40 სმ	35-40სმ
მაგიდის ზედაპირის სიგანე:	45-50 სმ	45-50 სმ	45-50 სმ
მაგიდის ზედაპირის სიგრძე:	60-70 სმ	60-70 სმ	60-70 სმ